სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №2

ქ .გ ორი **2020 წელი**

ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მერის **კონსტანტინე თავზარაშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შპს ახალი ამბები ს/კ 205075014** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის ზაზა ბუაძის მინდობილი პირის მარიამ ხუგაშვილის **(№01023004130)** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: გორის მუნიციპალიტეტის მერიის **2021** წლის ბიუჯეტის სახსრებით **ახალი ამბების სააგენტოს მომსახურებების (CPV 92400000) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.**

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს **საინფორმაციო სააგენტო “ინტერპრესნიუსი”-ს მომსახურების შესყიდვა კერძოდ:**

- **სააგენტო ელ.ფოსტის საშუალებით ყოველდღიურად მიაწოდებს საინფორმაციო ანონსების და ნიუსების;**
- **უზრუნველყოფს დამკვეთის საქმიანობისა და მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ანონსების/ინფორმაციების მომზადებას და გაშუქებას, აგრეთვე გავრცელებას სხვა მედია საშუალებებისთვის ელ.ფოსტის საშუალებით თვეში არაუმეტეს 10-ჯერ.**

3. ხელშეკრულებისსაერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.3 შესყიდვის ობიექტის/ მომსახურების ერთი თვის ღირებულება შეადგენს **408.33 (ოთხასრვა ლარი და 33 თეთრი) ლარს.**

3.2 შესყიდვის ობიექტის/მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **4899.96 (ოთხციათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 96 თეთრი) ლარს**, მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **ეტაპობრივად 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

4.2 მიწოდების ადგილია – **გორი, ფერაძის №5.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული მომსახურების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **ნათია მდინარაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასტან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი**.

5..3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6. ანგარიშსწორება და ფასები

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 ანგარიშსწორება მოხდება მიწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების გაფორმებიდან არა უგვიანეს **10 სამუშაო** დღის განმავლობაში.

6.3 დაფინანსების წყარო - **ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით**.

6.4 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

6.5 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

7. მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივადშეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შეყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მომსახურება;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

12.2 ხელშეკრულების ცაკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან;

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგანწერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია **2022წლის 31 იანვრამდე.**

16. სხვა პირობები

16.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან" და ორი პირი „შემსყიდველთან"). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა

იყოს ქართულ ენაზე.

16.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს ახალი ამბები“
ს/კ 218086087	ს/კ 205075014
მის: გორი, ფერაძის #5	მის: თბილისი, იოსებიძის #49.
სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“
კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: MIBGGE
ა/№ 300843460	ა/№GE84 PC02 6360 0100 0177 28
გორის მუნიციპალიტეტის მერი	დირექტორის მინდობილი პირი
კონსტანტინე თავზარაშვილი	მარიამ ხუგაშვილი
Gori Municipality Digitally signed by Gori Municipality Date: 2020.12.17 15:51:50 +04'00'	ALL NEWS LTD Digitally signed by ALL NEWS LTD Date: 2020.12.17 15:36:38 +04'00'